ახალი გაზეთი

„მეფნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

16 - 28 სექტემბერი 2015 წელი №17 №8099 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

გილოცავთ ახალ 2015-16 სასწავლო წელს! გისურვებთ წარმატებებს!

გილოცავთ 2015-2016 სასწავლო წლის დაწყებას! გვ2.

რატომ აღზევდა ოქრის საქართველო

ანუ ძველქართული სწავლა-განათლების ამშავთქმა გვ5.

ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება

გვ3.

უხარისხოდ ჩატარებული სამუშაო არ დაფინანსდება

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრძოვებს, ინახავს რეპორტიორს ინტერესს, ხარჯს ეს ფხლის ყვითელ ჰრეფსს, ჟმნის ჩვენი ცხოვრების შეფულოვმაზებელ მეტიანებს ... გამოიწერეთ "ახალი გაზეთიადი" და გახლით ჩვენი მეითხველი

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს

გვ3.

შეგიძლიათ, მოგვანოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

„ვფიქრობთ გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენას„

გვ3.

ქართული სიმღერა – კაცობრიობის საგანძური

გვ4.

ერთ მხილოდ შვილი, ერთმანეთ ჰერეფილი და მეგობარი გვ4.

ზმანება

გვ6

ლიტერატურული, ემანწვილებთ!

გვ7.

წელიწადის მეხუთე დრო

გვ6

„ახალი გაზეთიადი„ იძებნ ცალიერებლი თოფლებნ ცვგაზეთი თოფლი-მეფლანის შეცვემნელოვლ. თხოვნით მიემანოთვეთ თანანარეობელებნ - ლეფლოვეთ თკვენი ჯვალი! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლი ლა ცახალი თოფლები!

გილოცავთ 2015-2016 სასწავლო წლის დაწყებას!

ახალი სასწავლო წლის სიახლეებსა და სამომავლო პერსპექტივაზე გვესაუბრება ქალაქ ჯასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რუსუდან მიგრიაული.

ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ ახალი, 2015-2016 სასწავლო წლის დაწყებას, განათლების სისტემის ყველა მუშაკს მინდა ვუსურვო წარმატებები, მათ ყოველდღიურ საქმიანობაზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ასევე მინდა მივულოცო ყველა მოსწავლეს, მათ მშობლებს. მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო ყველა ჰირველკლასელს, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი გამოცდები.

სწავლა-სწავლების, აღზრდის ხარისხის ამაღლება მოგეხსენებათ, ის ქვაკუთხედია, რასაც უნდა დაემყაროს დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რისკენაც ისწრაფვის ჩვენი ქვეყნის ყველა თაობის ადამიანი.

ახალ 2015-2016 სასწავლო წელს სიახლეებია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სსიპ ახალქალაქის საჯარო სკოლაში და ნოსტის დაწყებითი კლასების შენობაში. ასევე სკოლის დირექტორებმა იზრუნეს და შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულია რაიონში არსებული სასკოლო შენობები, საკლასო ოთახები და ყველა სკოლა მომზადებული ხვდება მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2013 წლიდან მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას ახორციელებს.

ახალ სასწავლო წელს კასპის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 5163 მოსწავლე სასკოლო სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების სრულ პაკეტს მიიღებს. პაკეტი მოიცავს როგორც მაღალი ქულით შეფასებულ, უკვე გამოყენებულ სახელმძღვანელოებს ასევე, ახალ წიგნებს.

ყველა პირველი კლასის მოსწავლე საჩუქრად მიიღებს პორტატულ კომპიუტერს, ამ ეტაპზე კასპის რაიონის 440 პირველკლასელისათვის განკუთვნილი კომპიუტერი უკვე სკოლებშია და ელოდება მათ პატარა მფლობელებს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე კომპიუტერები გადაეცემათ პირველკლასელთა დამრიგებლებს, რომლებიც ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სხვა დისციპლინებში სისტემატურად გადიან გადამზადებას. ამჟამადაც მიმდინარეობს "ინტელის" და "შებრუნებული საკლასო ოთახი" ტრენინგები. სკოლებში ინტერნეტთან წვდომის ხარისხი მნიშვნელოვნად ამაღლდა და ყველა მოსწავლისთვის ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგები პროგრამის "საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ-ფინანსური მართვის კორექცია"- ფარგლებში. კასპის ყველა საჯარო

სკოლის დირექტორი უკვე გადამზადდა. პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა-ფინანსების განკარგვა და კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს პროცესს საჯარო სკოლების დირექტორებმა გამოიმუშაონ სკოლის ადმინისტრაციულ-ფინანსური მართვის სპეციფიკური, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და უკეთ გაეცნონ საჯარო სკოლების მართვაში შეცდომების თავიდან აცილების /პრევენციის/ გზებს. პროგრამა მაქსიმალურად ორიენტირებულია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რასაც საჯარო სკოლის დირექტორები პრაქტიკულად გამოიყენებენ მუშაობაში და ამით შეძლებენ სკოლის ადმინისტრირების სისტემის ხარისხის ამაღლებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აგრძელებს საჯარო სკოლებში სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის პროგრამას. გასულ სასწავლო წელს საპილოტე პროგრამაში ჩართული იყო ქალაქ კასპის №2 საჯარო სკოლა, ახალ 2015-2016 სასწავლო წელს კიდევ ორ სკოლაში-სსიპ დოესის და სსიპ სასირეთის საჯარო სკოლებში ამოქმედდება სამედიცინო კაბინეტები, რომლებიც უკვე გარემონტებული და აღჭურვილია, შერჩეულია სკოლის ექიმებიც.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში დაგეგმილია ორი სკოლის - კავთისხევისა და ოკმის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამის სასკოლო ინფრასტრუქტურას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწყებულია ორი ახალი სკოლის მშენებლობა. კერძოდ, კასპის ისტორიული №1 საჯარო სკოლის საძირკველზე აშენდება თანამედროვე სკოლის შენობა, რაც დაგვეთანხმებით, მნიშვნელოვანი სიახლე იქნება. ასევე დაგეგმილია სოფელ თვალადის ახალი სკოლის მშენებლობა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გოჩა გოჩიტაშვილის სრული მხარდაჭერა და დახმარება ახალი სკოლების მშენებლობებისა თუ სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

მნიშვნელოვანია, რომ სსიპ თვალადის საჯარო სკოლის დირექტორის ქალბატონ ნატალია ცალქალამანიძის ძალისხმევით ისტორიული შენობა (ნიკო ცხვედაძისეული სახლი), სადაც ამჟამად ფუნქციონირებს სკოლა, შენარჩუნდება.

ამოქმედდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. პედაგოგები მასალებს ყველა სკოლაში გაეცნენ, სქემის ეფექტიანად დანერგვის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერ-კონსულტანტები 2015 წლის 14 სექტემბრამდე ყველა საჯარო სკოლის დირექტორებთან და დირექტორის მოადგილეებთან სამუშაო შეხვედრებს გამართავენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2013 წლიდან მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამას ახორციელებს.

სქემის ერთ-ერთ ძირითად სიახლეს წარმოადგენს პასუხისმგებლობის დელეგირება სკოლებზე და მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება სკოლის შეფასების ჯგუფის მიერ. ასევე სკოლებში დამკვიდრდება ფასილიტატორის ინსტიტუტი, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნება მასწავლებელთა მხარდაჭერა მათ პროფესიულ განვითარებაში. სქემის მიხედვით, შეფასების ჯგუფის წევრებისა და ფასილიტატორების არჩევა უნდა განხორციელდეს სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

შეფასების ჯგუფის ფორმირების შემდეგ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ჯგუფის წევრების ტრენინგების ციკლს განახორციელებს, რომლის პირველი ეტაპი მიმდინარე წლის ბოლომდე გაგრძელდება.

მომზადებულია სქემის გზამკვლევის პირველი ნაწილი, რომელიც სასწავლო წლის დაწყებისთვის ყველა სკოლას მიეწოდება. ვფიქრობთ სიახლეები ამ კუთხითაც დადებითად იმოქმედებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ხარისხის ამაღლებაზე.

2015 წელს გვყავს სამი ოქროს და ოთხი ვერცხლის მედალოსანი. გვყავს ასევე რვა მოსწავლე, რომლებმაც საბაზო საფეხური სრული ათი ქულით დაასრულეს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან საჩუქრად მიიღებენ პორტატულ კომპიუტერს.

ყველა პირველი კლასის მოსწავლე საჩუქრად მიიღებს პორტატულ კომპიუტერს, ამ ეტაპზე კასპის რაიონის 440 პირველკლასელისათვის განკუთვნილი კომპიუტერი უკვე სკოლებშია და ელოდება მათ პატარა მფლობელებს.

რაიონის 10 სკოლაში მუშაობენ მასწავლებლები, რომლებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებას უწევენ კოორდინაციას.

კასპის მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლაში კვლავ გრძელდება "საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა," ახალ 2015-2016 სასწავლო წელს დაემატა ორი რეისი.

განათლების სისტემაში განხორციელებული და დაგეგმილი საინტერესო სიახლეები იმედია, ხელს შეუწყობს ჩვენი მოსწავლეების სწავლის ხარისხის ამაღლებას.

წარმატებული სასწავლო წელი ყოფილიყოს!

პირველკლასელთათვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამების ჩატვირთვა.

უხარისხოდ ჩატარებული სამუშაო არ დაფინანსდება

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში გაიმართა მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომაზე დეტალურად განიხილეს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტების სამუშაოების მიმდინარეობის არსებული მდგომარეობა.

სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახური, მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები და ის მშენებელი ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაოებს ახორციელებენ.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა და კომისიის თავმჯდომარემ ილია ქამხაძემ, მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან ხარისხიანი და ვადებში შესრულებული სამუშაო მოითხოვეს. როგორც მათ განაცხადეს - დაუსრულებელი და უხარისხო სამუშაოები არ იქნება მიღებული და შესაბამისად არც დაფინანსება გაიცემა.

ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება

ქალაქის ცენტრში, ბაზრისწინა და მიმდებარედ - რკინიგზის ლიანდაგზე გადასასვლელამდე გზის მოასფალტების და საფეხმავლოების მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაიწყო წყალამრიდი ბეტონის ღარების მოწყობის წინა მოსამზადებელი სამუშაოები.

შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1-"ის ხელმძღვანელების განმარტებით, პროექტი ითვალისწინებს წყალამრიდი ბეტონის ღარების გამართვასაც, რომლის სამუშაოც უკვე მიმდინარეობს და მალე დასრულდება.



ჟურნალისტური ეთიკის ქარტია პრეამბულა (ამონარიდი)

"სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.

ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს "ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" მე-10 მუხლსა და "ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის" მიერ აღიარებულ "ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას". ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მიიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე."

ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს

2015 წლის 27 მარტს ტელეკომპანია ,,თრიალეთის" ეთერში გავიდა სიუჟეტი შიდა ქართლის გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის ბიზნესინტერესებისა და მისი კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების შესახებ.

სიუჟეტის მიხედვით, ხალხი ლაპარაკობს, რომ გუბერნატორი აკონტროლებს ბენზინგასამართ სადგურებს (,,კალონკებს"), ლომბარდებს.

ტელეკომპანია "თრიალეთის" ჟურნალისტმა ზემოთ აღნიშნულის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ კონკრეტულ ფაქტებს დადებდა.

2015 წლის 30 მარტს ,,თრიალეთის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელდა სტატია იმ კომპანიების შესახებ, რომელთაც ტელეკომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, გუბერნატორი აკონტროლებს.

სიუჟეტის გასვლისა და სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, როგორც აღმოჩნდა გუბერნატორმა მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას.

2015 წლის 6 სექტემბერს განხილულ საქმეზე ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია: "საქმეზე ზურაბ რუსიშვილი ტელეკომპანია "თრიალეთის" წინააღმდეგ, საბჭომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევას.

ქარტიის პირველი პრინციპი: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

ამ მუხლის ძირითადი სიმძიმე მოდის სიტყვებზე: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს.

უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ზუსტ ინფორმაციად, შეთანხმების თანახმად, ჩაითვლება ორ წყაროსთან გადამოწმებული ინფორმაცია, რომელშიც იდენტიფიცირებულია ადამიანი, ადგილი, მოვლენა - ვისაც და რასაც ეხება ინფორმაცია."

,,ვფიქრობთ გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენას,,



კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, ქალაქ კასპში სააკაძის ქუჩაზე მდებარე (ქჩარუხის დასახლება), ყოფილი ბიბლიოთეკის შენობის დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

შენობაში შეიცვალა ფანჯრები, მთავარი ქუჩიდან და ეზოდან შესასვლელი კარებები, იატაკზე დაიგო ლამინატი, სველი წერტილები ფილებით მოეწყო, გაკეთდა ცენტრალური გათბობა და შეიღება შიდა ინტერიერი.

ბიბლიოთეკა აღიჭურვება ინვენტარით და განკუთვნილი წიგნადი ფონდით, რომელიც მკითხველს ნათელი და კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზით მოემსახურება.

ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში ვფიქრობთ, გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენას, რაც მნიშვნელოვანია - აღნიშნა გოჩა გოჩიტაშვილმა.

ქართული სიმღერა -კაცობრიობის საგანძური

უკვე სამი წელია, ზედიზედ, ყოველ ზაფხულს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში იმართება ფოლკლორული სიმღერების დათვალიერება-კონკურსი, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მომღერლები, მოცეკვავეები, საგუნდო ნაწარმოებების შემსრულებლები და ქართული ტრადიციული შემოქმედების გამორჩეული ოსტატები...

ქართული ფოლკლორის მესვეურებსა და ღონისძიების ორგანიზატორებს, რა თქმა უნდა, არც წელს უღალატიათ ტრადიციისათვის და ივლისის დასაწყისში რუსთაველის თეატრის სცენაზე გაიმართა რიგით მესამე კონცერტი-დაჯილდოება სახელწოდებით "ქართული სიმღერა - კაცობრიობის საგანძური."

ნიშანდობლივი გახლავთ ის ფაქტი, რომ ამ პრესტიჟულ ღონისძიებაზე მონაწილეობდა კასპის მუნიციპალიტეტის ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "მოურავი."

— ფოლკლორულ ზეიმზე მონაწილეობის მიღება ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, ამავე დროს ერთგვარი გამოწვევაც გახლავთ, — აცხადებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, "მოურავის" უცვლელი ლოტბარი გივი ბახტაძე, — რადგან, ჩვენი ანსამბლის მთლიანი რეპერტუარი აგებულია ქართულ ფოლკლორზე. არ მინდა კადნიერებად მიიღოთ, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ "მოურავის" გამოსვლა ამ პრესტიჟულ სცენაზე ამჯერადაც რეზონანსული იყო, მოკლედ, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ანსამბლის მიერ შესრულებულმა ქართულმა "მრავალჟამიერმა" და "ცელო, მოუსვი ბალახსა".



წამყვანმა ტელეარხებმა თავიდან ბოლომდე უჩვენეს ქართველ მაყურებელს საზეიმო კონცერტში მონაწილეთა გამოსვლები და რასაკვირველია, მათ შორის იყო ანსამბლი "მოურავიც", რომლის ხელმძღვანელი და სულის-ჩამდგმელი გივი ბახტაძე სწორედ ამ დასკვნით კონცერტზე დაჯილდოვდა სიგელით და გადაეცა ფულადი ჯილდო.

— ფოლკლორულ კონცერტზე გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით გამოვლინდა, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის

გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, — და მათ ფონდის მიერ სპეციალურად დაწესებული ჯილდო და სიგელი გადაეცათ, ამდენად, ნომინაციაში - "ქართული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" დაჯილდოვდა ღვაწლმოსილი ლოტბარი გივი ბახტაძე.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ სამიოდე წლის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა ფონდი (ხელმძღვანელი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი) "ქართული საგალობელი," რომლის მიზანი გახლავთ ქართული სიმღერა-გალობისა და ხალხური შემოქმედების განვითარებისათვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

როგორც ფოლკლორისტები და დარგის სპეციალისტები ირწმუნებიან ტრადიციული დათვალიერება-კონკურსი სამომავლოდ უფრო მასშტაბურ ხასიათს მიიღებს და ბევრ მონაწილეს მიიზიდავს.

რ. ქართლელიშვილი.

ვინ მხიარულ შვილი, ვინმელ ჰვიფლნოთი და მეგობარი

საზოგადო და პრივატულ საუბრებში ხშირად გამოვთქვამთ გაოცებანარევ აღფრთოვანებას ახალი თაობის მიხვედრილობისა თუ მოულოდნელად გონივრული მოქმედების გამო; გაჩნდა "ინდიგო ბავშვების" ცნებაც, მაგრამ რეალურად მაინც არ ვიცით რა მოიაზრება ამ ცნებაში, ნამდვილად გამორჩეულები არიან ჩვენი პატარები თუ ესეც ჩვეულებრივი მშობლიური სიყვარულის "მისტიფიკაციაა" და მეტი არაფერი.

"ინდიგო ბავშვების" თემაზე მრავალი უცხოელი მეცნიერი მუშაობს. ამჯერად გვინდა გაგაცნოთ რობერტ ოკერის მოსაზრება. იგი ვისკონსინის უნივერსიტეტში მუშაობს, თავის ნაშრომებში, რომლებიც სწორედ ინდიგო ბავშვებს ეხება, აღნიშნავს, რომ აღმზრდელები, მშობლები და პედაგოგები, უნდა იქცნენ ნოვატორებად აღმზრდელობითი მეთოდების განვითარებაში; ახლებურად, უფრო მოქნილად მიუდგნენ ინდიგო ბავშვებს, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ახსნისა და ინფორმაციის გადაცემის მეთოდებს ეხება. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით ვფიქრობთ პუბლიკაცია საინტერესო იქნება ჩვენი პედაგოგებისათვის.

ექსპერტების რჩევით, მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და პედაგოგები მზად აღმოჩნდნენ ამ ბავშვებთან ურთიერთობისთვის, სწორად შეაფასონ მათი ნიჭიერება და მათი პრინციპულობა თუ სიჯიუტე.

ინდიგო ბავშვები ამქვეყნად ჩამოყალიბებული შეგრძნებებით მოდიან, ანუ კარგად იციან, რა უნდათ; აცნობიერებენ საკუთარ მიზნებს, მისწრაფებებს და მათში ეჭვი თითქმის არასოდეს შეაქვთ; საჭიროდ არ მიაჩნიათ, ახსნან საკუთარი საქციელი და მხოლოდ არჩევანის თავისუფლებისა სჯერათ. ძალიან საგულისხმოა, რომ აბნევთ კონსერვატიულ სისტემებთან ურთიერთობა, მხოლოდ საკუთარ თავს ენდობიან და თუ მათ გვერდით არ არის ვინმე, მსგავსი მენტალიტეტის მქონე, ისინი საკუთარ თავში იკეტებიან და უჩნდებათ შეგრძნება, რომ მათი არავის ესმის; ვერ აღიქვამენ საყვედურებს დისციპლინის დარღვევის გამო (მაგალითად, ამ ტიპის განცხადებებს: "მოვა მამაშენი და მაშინ ნახავ, რაც მოგივა!"); როცა რამე უჭირთ, საკუთარ მოთხოვნილებებზე მოურიდებლად საუბრობენ. როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ გამძაფრებული აქვთ სამართლიანობის შეგრძნება, მიხვედრილები არიან. ყველა წინა თაობაზე სწრაფად ერკვევიან ტექნოლოგიებში და ადვილად ითვისებენ სხვადასხვა სახის ტექნიკას.

ბავშვი-ინდიგო ძალიან მგრძნობიარეა და მიუხედავად ამისა მისგან შეიძლება დადგეს როგორც შემოქმედი, ისე მძარცველი.

ინდიგო ბავსვებს

კატეგორიულად არ სურთ ქცევის სტერეოტიპებს დაემორჩილონ. პლანეტისთვის განსხვავებული პროგრამის მქონე არსებაა და ეს თვითონაც იცის. ეს გოგო-ბიჭები პრაქტიკულად დარწმუნებულნი არიან საკუთარ უმაღლეს დანიშნულებაში და ხშირად განდიდების მანიასაც კი ამჟღავნებენ.

მეცნიერთა მტკიცებით, ინდიგო ბავშვები ზემაღალი ცნობიერებითა და მახვილი ინტუიციით გამოირჩევიან. ზოგიერთი მკვლევარი მათ დაბადებას უკავშირებს ცნობიერების ახალ სიხშირეზე გადასვლას, რომელიც ახალი, ანუ ინდიგოს თაობის მიერ მრავალი მიდგომის ახლებურად გააზრებასა და პრობლემური საკითხების გადაჭრას გულისხმობს. ეს ის პრობლემებია, რომლებსაც დღევანდელი კაცობრიობა ვერაფერს უხერხებს.

ინდიგო ბავშვების აზროვნების პროცესი და ხასიათი განსხვავებულია და იმავდროულად - საკმაოდ პრინციპულიც. მათ შეუძლიათ სხვისი აზრების კითხვა, შესწევთ უნარი, მიიღონ ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც მრავალი ათასი კილომეტრის იქით ხდება, იმსჯელონ სამყაროს ბედზე, მოგვითხრონ წარსული ცხოვრების შესახებ.

საგულისხმოა, რომ ინდიგო ბავშვებს არ სჭირდებათ "ცდისა და შეცდომის" გზის გავლა - ისინი ქვეცნობიერად ირჩევენ სწორ გზას, რომელიც ჩვენ შესაძლოა უცნაური მოგვეჩვენოს. ისინი უარყოფენ წესებს, საკმაოდ თვითმყოფადები არიან, აქვთ მბრძანებლური ხასიათი, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა. გამოუვალად ეჩვენებათ სიტუაცია, სადაც საკუთარ გავლენას ვერ იყენებენ. არიან თავმოყვარეები და უდისციპლინოები, აქვთ მკვეთრად განვითარებული ინტუიცია. მეტისმეტად თანაუგრძნობენ გარშემომყოფებს, ან პირიქით - სრულიად გულგრილნი არიან მათ მიმართ. ძალიან აქვთ განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება, არიან საკმაოდ ნიჭიერები და არცთუ იშვიათად განსაკუთრებული უნარით დაჯილდოებულებიც.

მკვლევარების აზრით, ინდიგო ბავშვებს ე. წ. (ეი-დი-ეიჩ-დი) სინდრომი აქვთ. განვითარების ამ დარღვევას ახასიათებს უყურადღებობა (ყურადღების გაფანტვა), ჰიპერაქტიურობა, იმპულსური ქცევა, ამა თუ იმ საგანსა თუ მოქმედებაზე ყურადღების შეჩერების უუნარობა. ეს ერთი შეხედვით ცუდია, მაგრამ მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი ამტკიცებს, რომ ასეთი რამ გენიოსების უმეტესობას ახასიათებს. მათ სურთ, მოვლენებით დატვირთული ცხოვრება ჰქონდეთ და ხშირად მოვლენებს აჩქარებენ კიდეც, რათა შედეგი დაინახონ. ასეთი ბავშვები შესაძლოა ემოციურად ოდნავ გაუწონასწორებლები იყვნენ; ამასთან, მათ ვერ წარმოუდგენიათ ქმედება, რომელიც სიყვარულზე არ არის დაფუძნებული. მათი პრინციპულობისა და ზოგჯერ მოჩვენებითი უხეშობის მიღმა საოცრად გულისხმიერი და მოსიყვარულე პიროვნება დგას.

კომპიუტერული თამაშებისადმი უზომო მიდრეკილება, სხვათა შორის, ინდიგო ბავშვების ერთ-ერთი სახასიათო შტრიხია. ისინი ვერ იტანენ სიცარიელეს და უძრაობას, ამიტომ ვირტუალურ სამყაროში ეძებენ დინამიკას, მოვლენების, ცვალებადობას და, რაც მთავარია, ისწრაფიან ტექნიკასთან ურთიერთობისკენ, რაც ასე მნიშვნელოვანია მათთვის.

მთელი მსოფლიოს მეცნიერები აქტიურად მუშაობენ იმ მეთოდებზე, რომლებიც განათლების სისტემის წარმომადგენლებს ინდიგო ბავშვებთან ურთიერთობაში დაეხმარება.

*დასასრული მომდევნო ნომერში.

რატომ აღზევდა ოქროს ხანის საქართველო

ანუ ძველქართული სწავლა-განათლების ამბავთქმა

თუკი რამ ფენომენი მუდმივად უპირისპირდება კაცობრიობის მოურჩენელ ავადმყოფობას— სნობიზმს, სწორედ განათლება და მისით განწმენდილ ადამიანთა გონება გახლავთ (XX საუკუნეში დამკვიდრებული ტერმინი ინტელექტუალური სნობიზმი ხომ მხოლოდ ნაკითხთა ამპარტავნებას გულისხმობს). მოყვასის სიყვარულის უმთავრესობის შეგრძნება, ზეშთასოფელსა და სოფელს შორის კავშირის შემეცნება, იმ სინათლის მიღება, რომელიც ხორციელი ცხოვრების მთავარ დანიშნულებებს გვაგებინებს— ძველ საქართველოში ამ უმაღლესი მიზნისათვის ხდებოდა კაცთა აღზრდა, რადგანაც მხოლოდ ფართოდ მხედი, ცოდნისაგან გაცისკროვნებული ტვინისა და სულის მქონე ადამიანებს შეეძლოთ ისტორიულ ცნობიერებაში დაცული საიდუმლოებებისა და მისიის ტარება.

წარმართულ საქართველოში, ვიდრე IV საუკუნემდე, უმაღლესი სკოლები რომ არსებობდა, ამის შესახებ ძალზე მწირი და სავარაუდო ცნობები შემონახულა. ვიცით, რომ ერთ-ერთი ასეთი სასწავლებელი კოლხეთში, ფოთის მახლობლად, რიტორიკის უმაღლესი სკოლა იყო, რომლის სასწავლო პროგრამები ციცერონისა და კვინტილიანეს მოთხოვნებს ეთანხმებოდა, სადაც ასწავლიდნენ სამართლისა და ფილოსოფიის საფუძვლების ციკლს, ლიტერატურას, ასტრონომიას, მათემატიკისა და მუსიკის ელემენტებს. შემორჩენილია ბერძენი ფილოსოფოსის თემისტიოსის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ კოლხეთის რიტორიკის უმაღლესი სკოლიდან, სადაც თავად თემისტიოსს და მის მამასაც უსწავლია, ისეთი განათლებული რიტორები გამოდიოდნენ, ლოგიკური აზროვნებითა და სიტყვაკაზმულობით თვით ელინებსაც აოცებდნენ. ბერძნულ საისტორიო თხზულებებში არსებობს ქართველ ორატორთა მჭევრმეტყველური გამოსვლებისა და საბრალდებო სიტყვების ჩანაწერები, რომელთა მიხედვით, ხსენებული ქართველნი პოლიტიკური, იურიდიული თუ ფილოსოფიური განათლებით შემკული, ნიჭიერი და ჩინებული ადამიანები იყვნენ.

აღმოსავლეთის ქრისტიანობაში და, მათ შორის საქართველოშიც, განათლების უპირველესი მიზანი უმეცარი ადამიანის “განბრძნობა”—სიბრძნესთან ზიარება ანუ ბრძნად ქცევა იყო. ქართული სასწავლო სახელმძღვანელოები ჯერ კიდევ ასურელი მამების დროს იწერებოდა. V-VII საუკუნეებ-

იოანე პეტრიწი

ში ფილოსოფიურ ცოდნას, ამჯერად უკვე თეოლოგიის პრიზმაში გარდატეხილს, ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში არა მხოლოდ უწვრთნელნი ჭაბუკნი, ანუ მცირეწლოვანნი, იღებდნენ, არამედ ასაკოვანნიც. იმ დროს, ქრისტიანულ ქვეყნებში საყოველთაოდ გავრცობილ, ე. წ. ნაზიბინის სკოლას, სადაც ეგზეტიკასა და ლიტურგიკას ასწავლიდნენ, ქართველები ზედ ამატებდნენ ქართულ მწიგნობრობას, ზემოხსენებულ თეოლოგიას საღმრთო წერილთან მიმართებაში, გალობას, ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებთან ერთად, რომელიც ძველქართული სანოტო სისტემით ისწავლებოდა, ზოგიერთ სამონასტრო სკოლაში კი, გრამატიკას, რიტორიკას, ბუნებისმეტყველებასა და უცხო ენებს. წარჩინებულ ქართველთა სწავლება შინ, სასახლის კარზე ხდებოდა, ანდა დიდგვაროვან ყრმას გააბარებდნენ ხოლმე აღსაზრდელად და აღმზრდელს მამამძუძე უხმობდნენ. მაგ. “ქართლის ცხოვრების” ცნობით “... წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლთა შინა აღიზრდიან.” სწავლება ადრეული ასაკიდან იწყებოდა და ჩვენი დიდი მეფე ვახტანგ გორგასალი (V ს.) ფილოსოფოსთა მიერ იმგვარად განათლებულა, რომ თხუთმეტი წლისა “ვითა მოხუცებული და ბრძენი” შექმნილა. სამონასტრო ცხოვრების განვრცობასთან ერთად, იხვეწებოდა და ფართოვდებოდა სწავლების სისტემის სფეროები და სიღრმეები. მაგ. დიდებული და ღირსი მამის გრიგოლ ხანძთელისათვის შეუსწავლიათ დავითნი ქართულ ენაზე (“საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწურთნა”), ფილოსოფიური მეცნიერებანი და ა. შ. ხოლო შემდეგ როცა წმიდა გრიგოლმა და სხვა წმინდა მამებმა

თავად შექმნეს საეკლესიო სკოლები, ღვთისმეტყველებასა და ჰიმნოგრაფიასთან ერთად იქ გრამატიკა, ბუნებისმეტყველება და “მწიგნობრობა მრავალთა ენათა” ანუ უცხო ენები ისწავლებოდა. IX–X-ს უნიკალური ძეგლის შატბერდის სასწავლო კრებულის მიხედვით ამ საგნებს ემატებოდა საქართველოს ისტორია, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების მოკლე ისტორია, ბასილი დიდის ცხოველთა ქცევების შემცველი თხზულება და



გრიგოლ ნოსელის “კაცისა შესაქმისათვის,” ანუ ანატომია და ბიოლოგია, რომელიც ჰიპოკრატეს, არისტოტელესა და გალენის ბუნებისმეტყველებისა და ანთროპოლოგიის ცოდნას ეყრდნობა. ეს სავანეები გარკვეული წინასახე იყო ქართული უმაღლესი სკოლისა, რომლის არსებობის აუცილებლობა და მნიშვნელოვნება XI საუკუნიდან, მტერთაგან დანაწევრებული ქვეყნის გაერთიანების ეპოქიდან, მწიფდებოდა, რადგან ქართველები ამ დროს

აქტიურად იწყებენ ბიზანტიაში გამგზავრებას და იქაურ უნივერსიტეტში— კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ მანგანის აკადემიაში ბეჯითად განსწავლას.

აკადემიკოსი ალექსი ლოსევი მიუთითებს, რომ ქართულ კულტურაში XI–XIII ს.სს. აღმოცენდა მთელი ეპოქა რენესანსისა, რომელმაც რამდენიმე საუკუნით გაუსწრო დასავლურ აღორძინებას. დავით აღმაშენებელი, რომელიც მემატიანის თქმით, “წიგნთა შინა ცხოველ არს და მათ შინა იბრძვის”, მეფე რომლის “საზრდელ... და სასმელ ტკბილ და საწადელ” სწორედ წიგნია და სანადიროდ თუ საომრად ჯორაკიდებული ბიბლიოთეკის თანხლებით დადის, მიიჩნევს, რომ გათავისუფლებულ, გაერთიანებულ საქართველოში განფენილ მორალურ და ჰუმანურ განწყობათა გვირგვინად სწორედ გელათის აკადემია უნდა იქცეს. იგი დასავლეთ საქართველოში, ქუთაისთან ახლოს აშენებს მშვენიერ, “ნივთთა სიკეთითა და სიმრავლით” გამორჩეულ შენობას მონასტერთან ერთად, რომელსაც მალე იხილავს “მეორედ იერუსალიმად”, “სხუად ათინად”. ამისათვის მეფე ეძიებს არა მხოლოდ საქართველოში მცხოვრებ მეცნიერ მამებს, არამედ მოიხმობს მათ საქრისტიანოს უცხოეთიდანაც. მშენებლობა 1106 წელს იწყება. მემატიანის სიტყვით მეფემ “შემოკრებნა კაცნი... შემკულნი ყოვლითა პატიოსნებითა.” ისინი მან ქვეყნის კიდით კიდეთაგან ჩამოიყვანა თურმე და გელათში დაამკვიდრა; ოღონდაც ესმა მათი “სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა.” ზემოხსენებული მამები გახდნენ ქართული აღორძინების მოქმედნი პირნი და მოძღვარნი. უდიდესი ენერგი-

არსენ იყალთოელი

ისა და გონის მატარებელი ადამიანები, ვინც აღმოსავლეთში ქრისტიანული აზროვნების ახალი მიმართულების შექმნა და განვითარება შეძლეს. მათ შორის იყო დიდი იოანე პეტრიწი — ღვთისმეტყველი და ბრძენი, ფილოსოფოსი და მჭევრმეტყველი, მთარგმნელი და პოეტური სიტყვის დიდოსტატი. სწორედ იგი განამწესა მეფემ გელათის აკადემიის მოძღვართმოძღვრად ანუ რექტორად. იოანე პეტრიწი ჯერ შავ მთაზე მოღვაწეობდა ქართველ მეცნიერ ღვთისმეტყველ ბერებთან არსენ იყალთოელთან და ეფრემ მცირესთან ერთად, ხოლო შემდეგ, ბულგარეთში პეტრიწონის მონასტერში შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის სასწავლო ცენტრი. ენათა შინა ფრიად განსწავლული პეტრიწი და მისი თანამოღვაწენი ქართული ნეოპლატონიზმის გავრცობისა და აღზევების დასაბამნი არიან. სწორედ მათ მოამზადეს ფილოსოფიური ბაზისი რუსთველის გენიისა და კულტურული დღესასწაულისათვის, რომელიც ამ ეპოქიდან დაიწყო და თითქმის საუკუნენახევარი გრძელდებოდა. ძალიან მოკლედ რომ წარმოვისახოთ ქართული რენესანსის წინაპირობათა სქემა, რომელიც იოანე პეტრიწმა გელათის აკადემიის სწავლებათა სისტემაში განავრცო, იგი დაახლოებით ამგვარი იქნებოდა: 1. ანტიკური ფილოსოფიური სიბრძნე და ქრისტიანობამდელი სამყაროს ის ცოდნები, რომელიც მისაღები იყო ქრისტიანული რელიგიისათვის; 2. ფსევდო დიონისე არეოპაგელის, იგივე პეტრე იბერის თხზულებები (მათ ძირითად აღმოჩენებს დაემყარა შემდგომში უკვე ევროპული რენესანსი) და პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო წიგნები; 3. ქართული ქრისტიანულ-სამონასტრო და საერო პედაგოგიკის უნიკალური სასწავლო პროგრამები და გამოცდილებანი.

გელათის აკადემიის უმთავრესი სასწავლო საგნები ე.წ. ტრივიუმ-კვადრივიუმის (ტრივიუმ – კვადრივიუმ) პრინციპით იყო დალაგებული. სამეულში შედიოდა: გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა, რომელთაც ძველქართულად ამგვარად უხმობდნენ: ქვეყნის საზომლიო, რიცხვნი და სამოსიო. საგანთა ოთხეულში კი შედიოდა, სამგვარი ფილოსოფია (საქმითი, მხედველობითი და განმსიტყვებითი), სამგვარი რიტორიკა (თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა), გრამატიკა და ასტრონომია (ვარსკვლავთმრიცხველობა). ამ ძირითადი საგნების გარდა აკადემიაში ისწავლებოდა იურისპრუდენცია, ბიოლოგია და მედიცინა, რასაც ადასტურებს სახელმძღვანელოების არსებობაც (არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი “დიდი სჯულის კანონი” და პეტრი

*დასასრული მე-6 გვ.

რატომ აღზევდა ოქროს ხანის საქართველო

ანუ ძველქართული სწავლა-განათლების ამბავთქმება

*დასასრული.

წის მიერ თარგმნილი ნემესიოს ემესელის "ბუნებისათვის კაცთა" და ვინმე ხოჯაყოფილის შედგენილი "წიგნი სააქიმოი"). ადამიანის პირად და საზოგადოებრივ მოვალეობათა გაცნობიერება, რომელიც უპირველესად, პროექცირდებოდა სულიერი ცხოვრების უმაღლესი სფეროებიდან, ცალკეულ საგანთა შემეცნება უსასრულო სინამდვილესთან მიმართებაში, იმ კანონების წვდომა, რომელიც აწესრიგებს ქაოტურ სინამდვილეს მიზანსწრაფულ ერთიანობამდე — ამ ყოველივეს მონაწილე და შემოქმედი ადამიანური გონი და მისი თავისუფალი ნება უნდა ყოფილიყო. იოანე პეტრიწი არა თუ უპირისპირდებოდა საეკლესიო დოგმებსა და ჭეშმარიტებას, უბრალოდ, მას სურდა თავისი ფილოსოფიითა და სწავლების სისტემის მეშვეობით გაეზარდა ადამიანური არსის როლი და მნიშვნელობა ქრისტიანულ კულტურაში. მისი ფილოსოფიური განმარტებანი (პროკლეს წიგნებისათვის) თავად ქმნის ახალ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და შემდგომი ქართული ფილოსოფიის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. გარდა ღრმა მეცნიერული ნააზრევისა, იგი მეტაფორული სახეებითაა დატვირთული. პეტრიწის ენაში განივთებულია სიტყვადქმნადობის პირველყოფილი უნარი და პოეტური მეტყველება. მისი აზრების ამოკითხვა მეტად რთული და საპასუხისმგებლოა. ძალიან ჭირს მათი სათანადო აღქმაც. თუ შეეცდები და ტექსტს გააზრებისას მხატვრულ სამოსელს მოაშორებ, გონებაში დალაგდება ღრმა ფილოსოფიური განმარტებანი, მაგრამ ხელიდან გაგისხლტება რაღაც დიდი მეტაფიზიკური ხატოვანება და ექსპრესია. წარმოიდგინეთ, როგორი გონებრივი და მეცნიერული შესაძლებლობების ადამიანებს უნდა ესწავლათ გელათის აკადემიაში სწორედ ამ წიგნებით. პეტრიწმა ისეთი კავშირი შექმნა სალიტერატურო და ფილოსოფიურ ენას შორის, რომელსაც იშვიათად მოეძებნება ანალოგი. მან შემოიღო მეცნიერულ ტერმინთა წარმოების საკუთარი პრინციპები, შეკრიბა ქრისტიანობამდელი (ეგვიპტური, ქალდეური, ელინური და სხვა) და შემდგომი ფილოსოფიური სიბრძნე ქართული ქრისტიანული კულტურის სამსახურად. გელათის აკადემიამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იარსება. ის გახლდათ ერთ-ერთი უძველესი, წარჩინებული უნივერსიტეტი არა მხოლოდ ქრისტიანულ აღმოსავლეთში, არამედ მთელს მსოფლიოში, რადგანაც შეუდარებლად აერთიანებდა და ატარებდა სამეცნიერო, პედაგოგიურ, კულტურულ და საგანმანათლებლო მისიებს.

აღმაშენებლის საქართველოში ბუნებრივად მოჩანს მეორე უმაღლესი სკოლის დაარსებაც და აღზევებაც უკვე აღმოსავლეთ საქართველოში, თელავთან ახლოს, იყალთოს მონასტერში, სადაც დღემდეა შემორჩენილი აკადემიის ოდესღაც მონუმენტური, ულამაზესი ორსართულიანი, რიყის ქვებით აგებული შენობის ნაშთები. მხოლოდ გადმოცემის თანახმად აქ ჭაბუკი შოთა რუსთაველი სწავლობდა. თავად მონასტერი ჯერ კიდევ VI საუკუნეში ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, უმცროსი სვიმონ მესვეტის მოწაფეს მამა ზენონს დაუარსებია და, ამდენად, აქ მანამდეც განვითარდებოდა საეკლესიო სწავლების ტრადიციები. უმაღლესი საგანმანათლებლო სკოლის დამფუძნებელი და პირველი მოძღვართმოძღვარი (რექტორი) კი ასევე მანგანის აკადემიაში განსწავლული, ეფრემ მცირეს მოწაფე და თანამოაზრე, გელათის აკადემიაში მოღვაწე წმინდა მამა არსენ იყალთოელი ყოფილა. აქაც, ისევე, როგორც გელათში, შვიდი ძირითადი სასწავლო დისციპლინა ტრივიუმ- კვადრივიუმის პრინციპით იყო დალაგებული. მათ გარდა იყალთოში მოწაფეებს მებაღეობა-მევენახეობა-მელვინეობას და სხვადასხვა ხელობასაც ასწავლიდნენ. აკადემიის ნაშთებში შენახული სამჭედლო და საწნახელი ამის დასტურია.

თავად არსენ იყალთოელი, დავით მეფის მოძღვარი და მისი ეპიტაფიის ავტორი, მემატიანის მიერ დახასიათებულია, როგორც "განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა და სხვათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა", ანტონ I მას "ანატომიკოსად" მოიხსენიებს. მას შეუდგენია ფიზიკის სახელმძღვანელოც, რომლითაც ორივე აკადემიაში ასწავლიდა. არსენ იყალთოელს ეკუთვნის ბერძნულიდან თარგმნილი აურაცხელი ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ნაშრომებისა და ტრაქტატების ქართული ვარიანტები და მათი ღრმა და ყოვლისმომცველი განმარტებანი, რომლებიც თავად ქმნიან ახალ ფილოსოფიურ მოდელს. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ თუ პეტრიწი ნეოპლატონიზმის სკოლის წარმმართველია, არსენ იყალთოელი სქოლასტიკურ არისტოტელიზმს მისდევს და, რომ მათ შორის უთუოდ არსებობდა მსოფლმხედველობრივ-რელიგიური დაპირისპირება, მაგრამ ეს არცერთი ისტორიული დოკუმენტით არ დასტურდება. მიუხედავად რამდენადმე განსხვავებული ფილოსოფიური შეხედულებებისა, არსენ იყალთოელის აკადემიაც მტკიცედ მისდევდა ზემოთ უკვე აღწერილ და შემდგომში რუსთაველის მიერ მოცემული ფორმულის სამსახურს: "მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა."

როცა ამ აკადემიების მორალურ- რელიგიურ იდეალებს ეცნობი, აღარ გიკვირს, თუ რატომ აღზევდა ეგზომ ოქროს ხანის საქართველო, რამ გააცისკროვნა ადამიანთა გონება და რამ გაუადვილა ზესთასოფლის საიდუმლოებებში განსწავლულ ადამიანებს მიწიერი საქართველოს მოწყობა, რამ განაპირობა ქართული ხასიათის მსხვერპლისუნარიანობა, ანდა, მოწამეთა და მარტვილთა გაუგონარი სიმრავლე.

მარინა ყიფშიძე.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მკითხველი!

წელიწადის მეხუთე დრო

გია თურქია 1994 წლის შემოდგომაზე მოკლეს. ეს იყო საქართველოში "უნდობარი" ხანა, რომელმაც უხვად მოიტანა ცხედრები. იგი ერთ-ერთი იყო, ვინც იარაღით მოსიარულეთა აგრესიას შეეწირა. ეს დაპირისპირება შემთხვევითი არ ყოფილა. სიცოცხლის იქითა მხარეს იდგა შინაგანი ინტელიგენტობით, გამოუქვეყნებელი მინიატურებით, განუხორციელებელი სცენარებით, თავისი საყვარელი კაფკათი, ჰესეთი, ზაპათი თუ ვისკონტით მოხიბლული ახალგაზრდა მწერალი. მეორე მხარეს კი — მკვლელი, რომელმაც გია თურქიას საყვარელ ხელოვანთა სახელები, შესაძლოა, არც იცოდა.

გია თურქიას ფილმმა "წვევამდელები" 1986 წლის არაპროფესიონალ სტუდენტთა ფესტივალზე ერთ-ერთი მთავარი პრიზი დაიმსახურა.

დაუცველობისა და უმწეობის შეგრძნება ძალადობის წინაშე, ეს არის ფაქტი, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს სივრცეში...

ზმანება

ცისფერი მორევი თუ ლურჯი? არა, ამ ფერს სახელი არა აქვს. თუმცა კი აქვს, მაგრამ მისი წარმოთქმა შეუძლებელია. რა წარმოუდგენელი ჟღერადობაა. ენა არაფრით მემორჩილება, რომ წარმოვთქვა ის. ჩემი ყური ისმენს საოცარ, წარმოუდგენელი სიზუსტის და სისრულის ხმებს, მაგრამ ეს ხომ ყური არ არის, ეს მე ვარ აქ, არ არსებობს ყური, ცხვირი, თვალები. აქ ყველაფერი ჩანს, ყველაფერი ისმის, ყველაფერი მესმის, ეს ხომ მე ვარ. აი, თურმე როგორი ვყოფილვარ, ეს სულ ხომ მე ვარ.

აი, ჩემი განცდა, მე მას ვხედავ და მას ჰქვია... იგი თვითონ არის თავის სახელი, იმიტომ რომ მისი სახელი არის თვითონ იგი. ნუთუ ეს შესაძლებელია? მაგრამ ის რომ ჩემს წინ არის, პატარა, ერთი ბეწო და სრული, დაბადებული და ესე იგი უკვდავია.

ეს ყველაფერი ხომ ჩემია? არა, ეს ყველაფერი მე ვარ! ცისფერი მორევი: სულ ყველგან ცისფერი მორევია, გონება გარკვევას ითხოვს დაჟინებულად, ჯიუტად. საკმაო, მაგიდა, კედელი, იატაკი, ცისფერი მორევი, მხოლოდ მუცელში სიმხურვალე და ბჟუილია. შეუძლებელია, ნუთუ მუცელში ბჟუილი შეიძლება რომ ამოდენა იყოს, ფერადი, ხმოვანი, ცოცხალი.

მე სადა ვარ, მე.

სკამი, ფანჯარა, კარადა, კედელი, ასფალტი.

ბნელი სივრცე, რაღაც ჭაში ვეშვები. გარშემო საოცარი ფერებია. აქ მე როდესღაც ვიყავი თუ არა, პირველად ვარ, მაგრამ რატომღაც ყველაფერი მეცნობა. თუმცა უეჭველად არასოდეს მინახავს, სადა ვარ? სად ჩავეშვი? ან ჩავეშვი კი! აქ ხომ მიმართულება არ არის. არც ზემოთ არც ქვემოთ, არც მარჯვენა არც მარცხენა, მაგრამ მოძრაობა ჭაში ჩაშვებას ჰგავდა, არა ქვემოთ, არამედ სიღრმეში.

არ ვიცი რა ხდება. მეოთხე განზომილება ვიპოვე თუ პირიქით — სამივე დავკარგე. კვლავ მოძრაობა ჭაში. კიდევ უფრო შორს მოვწყდი ჩვეულ სამყაროს, აი ისიც, უცნობი მაგრამ ისევ საოცრად ნაცნობი სივრცე. საკვირველი შეგრძნება მიჩნდება. თითქოს ეს ჭა თვითონ მე ვარ. დაუჯერებელია ეს ყველაფერი, მაგრამ ცხადზე ცხადი.

მთელ ძალებს ვიკრებ და ვიძაბები, რათა ეს სინაცნობე როგორმე ამოვიცნო და მე ვხედავ კედელზე იმ წერტილს, რომელზეც ბავშვობაში თვალი გამიშტერდა. უფრო სწორედ, აქ არავითარი კედელი და არავითარი წერტილი არ არის.

მე ვხედავ იმ განცდას, რომელიც წერტილის დანახვამ გამიჩინა. ვხედავ, მაგრამ ეს ხედვა არ არის.

მე თითქმის ვარ მასში, ან — პირიქით, ის არის ჩემში და მხოლოდ ეხლა ვხვდები რატომ გამიჩნდა მაშინ სიმორცხვის გრძნობა და რატომ იყო ჩემთვის ესოდენ პირადული ამ წერტილის შეგრძნება.

ვხვდები რომ უზარმაზარ საიდუმლოს ვეზიარე და ისევ ჭა. წარმოუდგენელი სიღრმე. ჩემი გაბნეული გონება ცდილობს მოკრებვას, მაგრამ რასაც არ ებღაუჭება, ყველაფერი იშლება, საოცარ ფერად მოციმციმე ნაწილებად. როგორც განზომილება გაქრა ისე ქრებიან სხვადასხვა მცნებები, იშლება ყველაფერი ნაწილებად.

კარგი — დაიშალა და აღარ არსებობს, ცუდი — აღარ არსებობს. სიამოვნება, უსიამოვნება — დაიშალნენ და გაქრნენ. ნუთუ მთელი ცხოვრება საპირისპირო მცნებებით არის შედგენილი? ავიღებ უბრალოდ სკამს და აი, სკამიც დაიშალა ათას მცნებად: რბილი, ხე, ფეხი, ჯდომა, დგომა, მტვრევა და სხვა და სხვა.

ცნება კი თვითონაც უთვალავ ცნებად დაიყო. და მე მივხვდი, სად ვიმყოფები. აქედან იხატება ჩვენთვის ჩვეული სამყაროს სურათი.

აქ არის მოგროვილი ყველა პირველი საწყისი ფერი და პირველსაწყისი საღებავი. და აქედან, როგორც მოზაიკა, ეწყობა ჩვენი სამყარო — როგორც ერთი, კერძო შემთხვევა უთვალავ შემთხვევათა შორის. ჭა კვლავ სიღრმეში მიზიდავს, მაგრამ გონება უკან დაბრუნებას ითხოვს. ამ ყველაფრის გააზრებამ მას ძალა შეჰმატა და იგი ნელ-ნელა უკან მითრევს, სრული სიბნელე.

აი ისიც — ჩემი სიზმარი, რომელსაც ყოველღამე ვხედავდი. რომელიც ჩემი საკუთარი ზმანებაა. იგი ყველა საიდუმლოზე ფარდას მიხდის, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს ის სიზმარია, რომელიც ხვალ არ მემახსოვრება.

ოირცეოოლი, ყმაწვილებო!



გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით გაქრა სითბო, სინათლე, შაქარი, პური, როცა აფხაზეთში მებრძოლთათვის გამგეობის შენობაში გროვდებოდა სურსათი მივხვდი, რომ მტრის მიმართ ჩემი თანამემამულეების პროტესტი უფრო საშიში იყო, ვიდრე ათასი ჯურის მტრის შეთქმულება.

... საკუთარი სხეულის ნაწილივით ვგრძნობდით აფხაზეთის მიწის მოკვეთას. მაშინ ბევრად გულუბრყვილო იყო დამოკიდებულება პოლიტიკისა და პოლიტიკოსების მიმართ. დღეს შეიძლება გამიჭირდეს გავიხსენო ისეთი რამე, რაც იმ წლებში დიდი მნიშვნელობის იყო და სხვა შემეცნებითი ღირებულება ჰქონდა, მაგრამ აშკარად მეტი ვიცი იმ რეალობაზე, რადგან დრო გახდა ძალიან კარგი და სანდო (თუ ერთადერთი არა!) მასწავლებელი.

იმ ურთულეს დროში, საომარ რეალობაში პირველად ვიგრძენი რა მნიშვნელოვანი იყო ახალი სასწავლო წლის დაწყება, სკოლებში სწავლის პროცესის უწყვეტობა. გათოშილ და მშიერ ქალაქში ბავშვები თუ დადიოდნენ სკოლაში (მშობლების მიტანილი შეშით გამთბარ საკლასო ოთახებში), ე.ი. ქვეყანაში არსებობდა იმედი, რომ ვაგრძელებდით ცხოვრებას და მნიშვნელოვანი რაღაცრაღაცეები კარგად იყო.

სწორედ იმ დროს ჩვენმა მასწავლებლებმა შეიძინეს მორალისტის, მოძღვრის, წინამდგომის მკვეთრად გამოხატული უფლება. რატომ? ისინი სიმბოლური ანაზღაურების ფასად ასწავლიდნენ ქვეყნის მომავალს იმას, რაც სწორედ მაშინ უნდა ესწავლათ. თაობა ვერ დაელოდებოდა კარგ დროს განათლების მისაღებად.

ჩემი ქართული ენის პედაგოგი, მართლაც სულგანათლებული ანა ეძგვერაძე ხშირად იმეორებდა "მუდმივი მხოლოდ ცვლილებაა!" მოსწავლეობისას დავიმახსოვრე, მაგრამ მხოლოდ დიდობაში გავიაზრე ნათქვამი.

პირველ-სკოლელობა ჩვენში ჩამოყალიბდა, როგორც გემოვნების, ენერგიის კულტურული გამოცდილება და შესაძლებლობა, შესაძლებლობის ზღვარის მარადიული ძიების პოზიცია... სხვათა შორის, ამ უკანასკნელთა ერთობლიობა ზოგჯერ ჩვენც კი გვაკვირვებს, რადგან შეუძლია მოულოდნელად დაუპირისპირდეს ჩამოყალიბებულ წარმოდგენას, თეორიულ თვალსაზრისს... და კიდევ კარგი, არსებობს მარადიული ათვლის წერტილი დიმიტრი ხუსკივაძის ღიმილით განათებული ნათქვამი – "ღირსეულად, ყმაწვილებო!"

ჩემს მასწავლებლებს ცხადად ესმოდათ თაობის სულიერი ცხოვრების რიტმიც და განწყობილებაც. ჩემი მშობლიური სკოლა, რომელსაც სიყვარულით თუ სევდანარევი ღიმილით "მცირე აკადემიად" მოიხსენებდნენ (ძალიან მაგარი პედკოლექტივის გამო!), ყოველთვის გამოხატავდა საერთო ტენდენციას, მისწრაფებებს, რა თქმა უნდა, იზიარებდა დროის ნაკლსა და ღირსებას. ასეთ გარემოში დადგინდა ბევრი რამ, რამაც ჩვენს დიდობაში ანუ მომავალში ზნეობრივი მოდელის სახე შექმნა. გონიერთათვის ეს საგანძურია, მავანთათვის კი აუცილებლად დასავიწყებელი რეალობა.

ცხოვრების გზაზე, როცა უკვე დიდი ხარ, გაქვს პროფესია, მოქალაქეობრივი პოზიცია და შენი შვილები დადიან სკოლაში, აუცილებლად დგება მომენტი, როცა ფიქრდები მაინც როგორი იყო სწავლის დრო, როგორი იყო შენი სკოლა?

ჩემი სკოლა უკიდეგანო სამყაროს მოდელს იტევდა, ბავშვობის გულწრფელ ლეგენდათა ფერად სურათებს, პოეზიისა და პოეტურობის ათასგვარ გამოხატულებას, ტრაგიკულს თუ კომიკურს, გულუბრყვილობას, იუმორს, ირონიას, ბუნებისმეტყველთა მომნუსხველ აზრთა აკიდოს, მეხსიერების სიღრმეში ჩალექილია დამუხტული მიკროსამყარო თავისი ბუნებრივი კულტურითა და მორალური კანონით (!). ყოველი დეტალი, სიუჟეტი თუ ჩანართი ხომ მოვლენათა ზნეობრივ ასპექტში აღქმას ემსახურება.

თემა ამოუწურავია და ახალის ძიება-დამკვიდრების ჟამი დღესაც უდგას ჩემ სკოლას ისე როგორც ყველას, ოღონდ არის ერთი დეტალი – 126 წლის კასპის პირველი სკოლა ახალ სასწავლო წელს ქალაქის მესამე საჯარო სკოლის შენობაში იწყებს. იმედია, ორ წელში მაინც სკოლა დაბრუნდება ახალ, თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ შენობაში. მანამდე კი ვიტოვებ იმედს, რომ უცხო კედლებში უფრო თვალნათლივ გამოჩნდება, რომ პირველი სკოლა პირველია არა მხოლოდ ნუმერაციის გამო.

ბოლოსიტყვაობის მაგიერ:

"ცხრას ამ თვისას ჩვენს ახლად დაარსებულ სასოფლო სკოლაში იყო გამოცდა მოსწავლეებისა. ისეთი შედეგი ვნახეთ ამ გამოცდისა, რომ ყველა იქ დამსწრენი სიამოვნებით და სიხარულით აღვივსენით. სკოლაში ამ დროს სამოცი მოსწავლე იყო, ქალი და ვაჟი. ქართულად და რუსულად კითხულობენ. იციან ოთხი მოქმედება არითმეტიკისა. ამ სამოც მოსწავლეში ნახევარი უფრო კარგად არის მომზადებული, რადგან ეს ნახევარი პირველ რიგშივე მისულა სკოლაში და გამუდმებით უსწავლიათ, დანარჩენნი ორისამი თვის შემდეგ მოუყვანიათ პატრონებს და რასაკვირველია, უკან ჩამორჩებოდნენ თავიანთ ამხანაგებს. აქ უფრო გვიან დაიწყო სწავლა, ვიდრე სხვა სასოფლო სკოლებში, რადგან შენობა მზად არ იყო. სკოლა გაიმართა 23 ღვინობისთვეს (1889 წ.) და რიგიანად სწავლება მოწაფეთა დაიწყო იანვრიდამ (1890 წ.)." ("ივერია" (1890 წელი 19 იანვრი). იმ შორეულ 1890 წლის დასასრულს კასპის სკოლის მოსწავლეებს "თავადმა დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარმა და მისმა მეუღლემ კნეინა ანასტასია რევაზის ასულმა ამილახვრისამ თავის ხარჯით გაუმართეს ჩვენი სასოფლო სკოლის მოსწავლეებს "იოლკა" ("ივერია" 1890. 29 დეკემბერი).

რიგიან სწავლებას გისურვებთ პირველსკოლელებო! სკოლის ისტორია კი ახალ შენობაში 201? წლის საახალწლო შეხვედრაზე ჩვენი ძალებით გამართულ "იოლკაზე" გულიანად გავიხსენოთ.

პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ნანა მერებაშვილი.

,,ახალი განთიადი,, გილოცავთ ახალი ცხოვრების წლის დასაწყისს! გისურვებთ წარმატებებს!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ცხოვრობს თუ ყირიმი ცოლად ვაძლევთ შეცხადებლობას გზებიან ცხოვრებით თვრთო მეითხვილს გავაცნობ ცხოვრები ინტერნეტ და ვწმოო,

2015-2016 ცხოვრობ წლის განმავლობაში შეცხადებლობა გეკუნებათ გზებიში გამოკეკეფნოთ მშობლიური ცოლის მილოვები, გზებიან თუნტლებიან მეშვიობით ცხოვრობ გზახლოთ თკვენი პრობლემები, დაცხოთ ცოლის ცხოვრილი ცხმომავლო გეგმები, ყველა გავაცნოთ ლავწლომოცილი, ახალგაზრდა თუ ახალბეგა პედაგოგები, გვიამბეთ ცხა და როგორ ცხოვრობთ, რითი ამყობთ, რა ცხოვრ,..

გავაცნით თანაშრომლებს თკვენი ყურადღებით მეცნიერები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების ცხოვითცა და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ ცოლაში და გვინდა, რომ იკ გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი. გამოგვიცხადეთ!

გამოიწერეთ, იკითხეთ გაზეთი "ახალი განთიადი"!





გვხლით ცვხოურველი ცყოამური

ბავშვობაში წითქვამი ,,ფრთიანი ფრანგები,, მიელი ცხოვრება ვლაამაზებენ მოგონებებს, ისინი ლამცვხოურებულლა იყვენენ ვლგილს ოჯახურ ,,ოქროს ფონდში,, თანობილან თანობან გვლაელემიან ლა ყველა შინვურული თვეფრილობინ მთვარი ცხალოთ ცვამბობნი ხლენიან. შეინვხეთ თქვენი ბავშვობინ ცვინდერეთ წუთები ჩვენს რუბრიკაში ,,მაყვალფუნა,, ლა გვხლით ცვხოურველი ცყოამური.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის განცხადება საჯარო განხილვის შესახებ

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია გაცნობებთ, რომ კასპის მუნიციპალიტეტში მდინარე ლეხურაზე საგურამო-ქუთაისის DN700 მაგისტრალური გაზსადენის მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2015 წლის 27 ოქტომბერს, 14 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მისამართი: კასპი, მერაბ კოსტავას ქუჩა №18.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში და კორპორაციის ვებ.გვერდზე **http://www.gogc.ge/index.php/ge/enviroenmentassassement**
ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

გთხოვთ,

წინადადებები და შენიშვნები წერილობით მიაწოდოთ სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას" არაუგვიანეს 2015 წლის 18 ოქტომბრისა შემდეგ მისამართზე:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"
თბილისი, 0190, კახეთის გზატკეცილი №21
+995 (32) 2 24-40-40 შიდა ნომერი 422
DCC@GOGC.ge

რუბრიკა – "წელიწადის მეხუთე დრო"
ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევრები (ელექტრონული ვერსია) და გაიცანით ისინი საზოგადოებას.

მოიხსენე, უფალო, სულნი პირველ გარდაცვალებულთა მშობელთა, ძმათა და დათა ჩვენთა და ყოველთა ხორციელთა ნათესავთა ჩვენთა და შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი მათნი ნებსითნი და უნებლიეთნი, და მიანიჭე მათ სასუფეველი ცათა და მკვიდრჰყენ იგინი საუკუნეთა კეთილთა შენთა და რჩეულთა შენთა წმიდათა თანა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო იუწყებიან, რომ გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს გარდაეცვალა მამა
ვალერიან ქამხაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება სამძიმარს უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება თანაუგრძნობს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება იუწყება, რომ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს გარდაეცვალა მამა
ვალერიან ქამხაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ ,,ახალი განთიადის,, რედაქცია სამძიმარს უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ ,,ახალი განთიადის,, რედაქცია თანაუგრძნობს გაზეთის რედაქტორს ნანა მერებაშვილს ბიძის
ანზორ მერებაშვილის
გარდაცვალების გამო.

ნანა, გიო და ვასილ მერებაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა
ანზორ მერებაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გივი მელაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

თანამშრომლები: რუსუდან მიგრიაული, სოფიკო ბარნოვი, ლია რეხვიაშვილი, თამარ მამულაშვილი, მაია ბერიანიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ინგა მეტრეველს ძმის
გოგიტა მეტრეველის
გარდაცვალების გამო.

კასპის ბიბლიოთეკის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

კასპის საფეხბურთო სკოლა სამძიმარს უცხადებს ჯამბოლატ ქამხაძეს მამის
ვალერიან ქამხაძის
გარდაცვალების გამო.

ნანა და გიორგი მერებაშვილები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი მეტრეველს მამის
გოგიტა მეტრეველის
გარდაცვალების გამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76